



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების
კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ დასკვნა

შეფასების თარიღ(ებ)ი: 22 თებერვალი 3 მარტი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 25 მარტი 2022

თბილისი 2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო სახელწოდება	პროგრამის	ეკონომიკა
უმაღლესი განათლების საფეხური		ბაკალავრიატი VI
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²		ეკონომიკის ბაკალავრი Bachelor of Economics
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი		0311.1. ეკონომიკა Economics
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)		-
სწავლების ენა		ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა		240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)		აკრედიტირებული 05.02.2019 გადაწყვეტილება №38

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინა ჩავლეიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ეკონომიკის“ საბაკალავრო პროგრამას 05.02.2019 გადაწყვეტილება №38 მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით. ამჟამად პროგრამა გადის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობას.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები: პროგრამა 240 კრედიტიანია:

პროგრამის მოცულობა: 240 ECTS კრედიტიანია, მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსები - 150 ECTS კრედიტია, ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები - 15 ECTS კრედიტია, პროგრამა მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს - 10 ECTS კრედიტის და პროფესიულ პრაქტიკას - 5 ECTS კრედიტს. დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები ან თავისუფალი არჩევითი კურსები - 60 ECTS კრედიტი

სწავლების ენა - ქართული

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა.

პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან მხოლოდ ქვეკომპონენტი 2.3 სტანდარტია მეტწილ შესაბამისობაში, ხოლო დანარჩენი სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

- რეკომენდებულია გადაიხედოს და ჩასწორდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი იყო პროგრამაში ან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულიყო ასევე, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე და მობილობით წესით პირთა ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია.
- კურსის შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია სასწავლო კურსი „საერთაშორისო ეკონომიკა“ ისწავლებოდეს მესამე სემესტრში, ხოლო სასწავლო კურსი „მიკროეკონომიკა 1“ მეორე სემესტრში. აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, მისაღებია სასწავლო კურსს „საერთაშორისო ეკონომიკა“ წინაპირობად განესაზღვროს „მაკროეკონომიკის პრინციპები“.
- სასურველია განახლდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითად და დამატებითი ლიტერატურას დაემატოს უცხოენოვანი (ინგლისური) და უახლესი ქართულენოვანი მასალები.
- სასურველია უსდ-მ მოიწვიოს პრაქტიკოს ეკონომისტები პროფესიული საგნების სწავლებისთვის.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ეკონომიკის“ საბაკალავრო პროგრამას 05.02.2019 გადაწყვეტილება №38 მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით. ამჟამად პროგრამა გადის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობას.

პროგრამის მიზანია: თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ეკონომიკის სფეროში კარგად გაცნობიერებული სპეციალისტები, რომელთაც:

- ✓ აქვთ ფართო ცოდნა მიკრო და მაკროეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მახასიათებლების, ეკონომიკური პოლიტიკის, საოჯახო მეურნეობების, ფირმების ქვევაზე მოქმედი ფაქტორების, ეროვნული შემოსავლის წარმოების, განაწილების და მოხმარების, დანაზოგების და ინვესტიციების, შრომის, საქონლის, მომსახურების და ფინანსურ ბაზრებზე ფირმის და შინამეურნეობების ქვევაზე მოქმედი ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობის შესახებ.
- ✓ შეუძლიათ ბაზრის ფუნქციონირების, ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ანალიზი, მისი შედეგების შეჯამება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება, დამოუკიდებელი ანალიტიკური და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება, საკუთარი მოსაზრებებისა და დასკვნების საჯაროდ წარდგენა, დამაჯერებლად და პროფესიულ დონეზე დასაბუთება.

პროგრამაში გამოყოფილია ძირითადი მიზანი, რომელიც ემსახურება ბაკალავრი ხარისხის მქონე პირის მომზადებას „ეკონომიკის“ სპეციალიზაციით.

პროგრამაში გათვალისწინებულია სფეროს განვითარების ტენდენციები და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკა, პროგრამის შემუშავების დროს დადარება განხორციელდა სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებთან: ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა(დიდი ბრიტანეთი) <https://www.lse.ac.uk/>; პრადის ეკონომიკისა და ბიზნესისა უნივერსიტეტი (ჩეხეთი) <https://www.vse.cz/>; ვროცლავის უნივერსიტეტი (პოლონეთი)<https://uni.wroc.pl/>; კრაკოვის ეკონომიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი) <https://uek.krakow.pl/> და გაზიარებული იქნა გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს. საბაკალავრო პროგრამის მიზანში წარმოდგენილია ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციები, რომლებიც ექნება კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ.

სწავლების მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 საფეხურს.

პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამაზე ინფორმაცია სრულად არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ

<p>გვერდზე, სადაც დაინტერესებული პირი შეიძლება გაეცნოს პროგრამას, კურიკულუმის, საგნების აღწერას, სასწავლო განრიგს, მიღების წესს. იქვეა წარმოდგენილი სხვა პირობებიც.</p> <p>პროგრამის მიზნები არ შეცვლილა აკრედიტაციის შემდეგ, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ზოგადი და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უფრო დაკონკრეტდა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“; ○ უნივერსიტეტის მისია; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში შედეგები მიღწევადია. პროგრამას აქვს 10 სწავლის შედეგი. რომელიც ჩამოყალიბებულია „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ბოლო ცვლილებების (20.09.2018) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის #69/ნ ბრძანებით დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.</p> <p>სწავლების შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 საფეხურს.</p> <p>პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების მექანიზმი. პსშ შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლისა აუცილებელი კომპეტენციების გათვალისწინებით. უნივერსიტეტში მუდმივად ხდება პროგრამების განხორციელების პროცესისა და შედეგების შეფასება, რომელსა და საფუძველზეც ხორციელდება მისი შემდგომი განვითარება.</p> <p>სწავლის შედეგები ფორმულირებულია აქტიური ზმნებით ახლანდელ დროში.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოხდა შედეგების ოპტიმიზაცია და მოდიფიცირება.</p> <p>სწავლის შედეგები ფორმულირებულია ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძოდ, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგად უნარებში, უცხო ენასა და მათემატიკაში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მოიპოვა უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება. უნივერსიტეტში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე „ეკონომიკის“ საბაკალავრო პროგრამაზე კანდიდატისთვის განსაზღვრულია ჩასაბარებელ საგნებში კომპეტენციის ზღვარი: ქართული ენა და ლიტერატურა - 25% და მეტი; უცხო ენა - 20% და მეტი; მათემატიკა - კომპეტენციის ზღვარი 30% და მეტი. 2021 წელს პროგრამაზე მისაღები ადგილი იყო - 40.</p> <p>სასურველი იყო არსებულ პროგრამაში ან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულიყო ასევე, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე (კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციებით: ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესი“) და მობილობით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“) პირთა ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში არის რეგულაცია, კერძოდ, უნივერსიტეტის მობილობის ადმინისტრირების წესი, რომელიც განსაზღვრავს შიდა მობილობის პირობებს, ასევე, ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირებთან საგანმანათლებლო პროგრამის ენაში გასაუბრების წესი.</p> <p>პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“; ○ საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში; ○ სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ინივერსიტეტის მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესი: https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_6863_1.pdf

<ul style="list-style-type: none"> ○ ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირებთან საგანმანათლებლო პროგრამის ენაში გასაუბრების წესი, https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_10805_1.pdf ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/ ○ აბიტურიენტის ცნობარი 2021, https://edu.aris.ge/news/abiturientis-cnobar-2021.html
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სასურველი იყო პროგრამაში ან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულიყო ასევე, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე და მობილობით წესით პირთა ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი მოიცავს **240 ECTS** კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში კომპონენტები შემდეგი სტრუქტურით არის განაწილებული: **180 ECTS** კრედიტი ძირითადი Major სპეციალობა, **60 ECTS** კრედიტის ფარგლებში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მეხუთე სემესტრიდან აირჩიოს დამატებითი Minor სპეციალობა, ან სულ ათვისოს თავისუფალი კრედიტების სახით.

ძირითადი სპეციალობის კურსები (**180 ECTS**) შემდგენილია ნაწილდება: სავალდებულო სასწავლო კურსები (150 ECTS), პროფესიული პრაქტიკა (5 ECTS) და საბაკალავრო ნაშრომი (10 ECTS). არჩევითი კურსი - 15 ECTS.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამაში არსებული კომპონენტების შინაარსობრივ მხარეს და ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამის დონეს. პროგრამა შედგენილია ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 4 წელი (8 სემესტრი, 15 სასწავლო კვირის ხანგრძლივობით). სტუდენტის მაქსიმალური კვირეული დატვირთვა შეადგენს 20 აკადემიურ საათს. სემესტრში უნდა შესრულდეს 30 ECTS კრედიტი.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მასში წარმოდგენილი დეტალური სფეროსა და მასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები ლოგიკურად ასახავენ სწავლის შედეგებს. ექსპერტთა მოსაზრებით, კურსის შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია სასწავლო კურსი „საერთაშორისო ეკონომიკა“ ისწავლებოდეს მესამე სემესტრში, ხოლო სასწავლო კურსი „მიკროეკონომიკა 1“ მეორე სემესტრში და აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სასწავლო კურსს „საერთაშორისო ეკონომიკა“ წინაპირობად განესაზღვროს „მაკროეკონომიკის პრინციპები“.

პროგრამაში შემავალი სასწავლო-კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული, დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის შესაბამისად. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <https://www.bsu.edu.ge/sub-33/program/2/index.html>

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <https://www.bsu.edu.ge/sub-33/program/2/index.html>

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კურსის შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია სასწავლო კურსი „საერთაშორისო ეკონომიკა“ ისწავლებოდეს მესამე სემესტრში, ხოლო სასწავლო კურსი „მიკროეკონომიკა 1“ მეორე სემესტრში. აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, მისაღება სასწავლო კურსს „საერთაშორისო ეკონომიკა“ წინაპირობად განესაზღვროს „მაკროეკონომიკის პრინციპები“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგს. სასწავლო კურსები ერთმანეთთან კანონზომიერ კავშირშია და ლოგიკური თანმიმდევრობით განაპირობებენ პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას, მათ გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცებას. წარმოდგენილი სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება ეროვნული

კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ ბაკალავრიატის საფეხურს. წარმოდგენილი სასწავლო კურსები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების სფეროს შესახებ სრულყოფილი ცოდნის მიღებას, პრობლემატიკის ანალიზს, კვლევითი უნარების გამომუშავებას, სტუდენტი შეიძენს აკადემიური პატიოსნების ღირებულებებს და განუვითარებს ცოდნის გაფართოების უნარს.

წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში განსაზღვრული სასწავლო კურსებით მისაღწევი სწავლის შედეგი იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტების სწავლის შედეგების შეფასება, კომპეტენციის რუკისა და სილაბუსების ანალიზისა დროს გამოიკვეთა გარკვეული შეუსაბამობა, რომელიც უკავშირდება ცოდნა და გაცნობიერება, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგების ანალიზს, კერძოდ, **რეკომენდებულია გადაიხედოს** სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში, კერძოდ, სილაბუსებში ჩამოთვლილი შედეგები უფრო მეტად შეესაბამება ცოდნა-გაცნობიერებისა და უნარების ნაწილს. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა განხორციელდეს მისი კორექტირება.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემული სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები შეესაბამება სწავლის შედეგებს.

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ძირითადად სილაბუსის თემატიკის ადეკვატურია, დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის მიღწევებზე, იძლევა და სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციას და მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მიუხედავად აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფმა, წარმოდგენილი მასალების გაანალიზების საფუძველზე, საჭიროდ მიიჩნია გარკვეული **რჩევების** მიცემა, კერძოდ, სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითად და დამატებითი ლიტერატურას დაემატოს უცხოენოვანი და უახლესი ქართულენოვანი მასალებით (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, მნიშვნელოვანი სტატიები, კვლევები). აღნიშნული ხელს შეუწყობს, როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი კომპონენტისა და პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- დოკუმენტაციაში წარმოდგენილი კომპეტენციის რუკა და სწავლის შედეგების შეფასება.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს და ჩასწორდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

<p>➤ სასურველია განახლდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითად და დამატებითი ლიტერატურას დაემატოს უცხოენოვანი (ინგლისური) და უახლესი ქართულენოვანი მასალები.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულია და დაგეგმილი სასწავლო შედეგების შესაბამისად. აღნიშნული კომპონენტი წარმოდგენილია როგორც ცალკეულ სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტის, ასევე, დამოუკიდებელი სასწავლო კომპონენტის - პროფესიული პრაქტიკის სახით. აღნიშნული სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს გამოიმუშაოს სპეციფიკური პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც საფუძველს შეუქმნის კურსდამთავრებულს მოახდინოს რეალურ სამუშაო გარემოში ადაპტირება.</p> <p>პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში მნიშვნელოვანია პროგრამაში წარმოდგენილი საწარმოო პრაქტიკის კურსი 5 (ECTS), რომელიც მოიცავს 125 საათს. პრაქტიკა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს შეიძინოს აკადემიურ გარემოში მოპოვებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება, სისტემურად გააცნობიეროს დარგის სპეციფიკა და</p>

<p>მნიშვნელობა. პროფესიული პრაქტიკის მიზნებია: სამუშაოს შესრულებისას პრაქტიკული ჩვევების განვითარება და პრაქტიკული მუშაობისთვის აუცილებელი კომპეტენციების მიღწევა, რეალურ სამუშაო გარემოში მუშაობის გამოცდილების მიღება; პრაქტიკული მუშაობის პროცესში დავალების შესაბამისი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და სინთეზი, სწორი და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება; კრიტიკული ანალიზის, შედეგების განსაზღვრის და ადეკვატური შეფასების უნარის ფორმირება და სხვა უნარები. პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტი მის მიერ შესწავლილი და შესრულებული სამუშაო აისახება პრაქტიკის დღიურში, რომელშიც ასახულია კვირის განმავლობაში გაწეული სამუშაოები. პრაქტიკის დასრულების შემდეგ ხდება კომისიის წინაშე პრაქტიკის ანგარიშის საჯაროდ დაიცვა.</p> <p>პროგრამა, სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, ითვალისწინებს კვლევითი ხასიათის საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას 5 (ECTS). საბაკალავრო ნაშრომის მიზანია სასწავლო კურსების გავლით მიღებული ცოდნის გამოყენება და ამის საფუძველზე კონკრეტული ბიზნეს-პრობლემის შეცნობის/გადაწყვეტის უნარის გამომუშავება; სწავლის განმავლობაში შეძენილი დარგობრივი ცოდნის წარმოჩენა; არგუმენტაციის, ანალიზისა, დასკვნის გამოტანის, ინფორმაციის მოძიების, დამოუკიდებლად სწავლის და მუშაობის უნარების გამოვლენა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“; ○ საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ორიენტირებულია, სწავლის პროცესში, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებაზე. პროგრამის კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები გამოიყენება. აღნიშნული მეთოდები ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსებში: **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდები:** ახსნა-განმარტება, კითხვა-პასუხი, დებატები (როლური და სიტუაციური თამაშები), შემთხვევის ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ჯგუფური (collaborative) და სხვა; **წერითი მუშაობის მეთოდები;** დემონსტრირების მეთოდები; პრაქტიკული მეთოდები; წიგნზე მუშაობის მეთოდი; სიმულაციური თამაშები და სხვა.

პროგრამის თითოეულის სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს, კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება სალექციო, სასემინარო და პრაქტიკული მუშაობის მეთოდი. სასწავლო კურსების მიზნების მისაღწევად, კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში ასათვისებელი საკითხების შინაარსის და სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება შესატყვისი მეთოდები და აქტივობები, რაც დეტალურად განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსით.

პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რეალიზაცია ხდება სასწავლო კურსებში ლექციების, ჯგუფში მუშაობის (სემინარები), პრაქტიკული მეცადინეობების საშუალებით, კერძოდ, კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში ასათვისებელი საკითხების შინაარსის და სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება შესატყვისი მეთოდები და აქტივობები, რაც დეტალურად განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსით.

კონკრეტული მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია შესაბამისი სასწავლო კომპონენტით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე, რაც დეტალურად არის წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
